

ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობა



CPV-15900000 ალკოჰოლური სასმელის  
შესყიდვის გამარტივებული  
ელექტრონული ტენდერი

სატენდერო დოკუმენტაცია

---

## ქ. თბილისი

### სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.....	3
2. ტექნიკური მოთხოვნები.....	7
3. სხვა მოთხოვნები.....	9
4. დამატებითი ინფორმაცია.....	14
5. სახელმწიფო შესყიდვით შესახებ ხელშეკრულების პროექტი.....	15
6. დანართი N1 ფასების ცხრილი.....	16

## 1.ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

- 1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში–სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.
- 1.2 გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან და ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებით ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
- 1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.
- 1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში–სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).
- 1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

**გამგეობა გაფრთხილებთ, რომ განსაკუთრებული ყურადღებით  
განვიხილავთ პროდუქციის ხარისხს, ვარგისიანობას, შეფუთვა-  
დიზაინს, დროული-მოქნილი მიწოდების სერვისს და ნებისმიერი ამ  
პირობის დარღვევა გამგეობის მიერ ჩაითვლება როგორც საჯარიმო  
სანქციების გამოყენების საფუძველი.  
ტექნიკური დავალება**

2.1 შესასყიდი საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და რაოდენობა:

საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	განზომილება	რაოდენობა
ღვინო	წითელი, მშრალი, არანაკლებ 12 გრადუსისა. ქარხნული წესით დაბეჭდილი, 0.75 ლ. ბოთლებში.	ბოთლი	1019

**შენიშვნა:** ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი (მისი დისკვალიფიკაციის შემთხვევაში მომდევნო დაბალფასიანი პრეტენდენტი) ელექტრონული ვაჭრობის დასრულების შემდგომ ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს **ორ სამუშაო დღეში უზრუნველყოს საქონლის ნიმუშების წარმოდგენა.**

**მიწოდების ვადა:** მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა განახორციელოს 2016 წლის 26-27-28 და 29 აპრილს.

**მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა განახორციელოს შემდეგ მისამართებზე:** 1) დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, ფერადის N10, 2) დ/დიღომი, პეტრიწის ქ. N9, 3) დ/დიღომი მე-IV მკ/რაიონი, კორპუსი N12, 4) კ. გამსახურდიას გამზ. N15, 5) ცაგარელის ქ. N48, 6) კოსტავას ქ. N75 და 7) მიცკევიჩის ქ. N29.

3პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

3.1 ფასების ცხრილი დანართი N1-ის მიხედვით და რეკვიზიტები

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით ან ანგარიშფაქტურით (ინვოისი). ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-11-მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.



ქ. თბილისი

თარიღი

### 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი ---- სახით და მეორეს მხრივ ---- (“შემდგომში მიმწოდებელი”), წარმოდგენილი ---- სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

### 2. ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი), შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და მოქმედების ვადა

- 2.1 ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი) -;
- 2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული ელექტრონული ტენდერი;
- 2.3 ელექტრონული ტენდერის განცხადების ნომერი -----;
- 2.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---- ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით;
- 2.5 კლასიფიკატორის კოდი - 15900000;
- 2.6 ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და ძალაშია .....

### 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

- 3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა:
- 3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი:
- 3.3 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან.

### 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიმწოდებელი საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

### 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

- 5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ ინსპექტირებას და კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.
- 5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის თანამშრომლები.
- 5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

### 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი პირების მიერ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-

ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირი.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

## **7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა**

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2016 წლის გამგეობის ბიუჯეტის სახსრებით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

## **8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)**

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებლო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.3 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილი უნდა იქნეს მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

## **9. ხელშეკრულების შეწყვეტა**

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

- ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## **10. ფორს-მაჟორი**

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური

მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩათვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. უფლებების გადაცემა;

12.1 მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე, მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

12.2 მხარეებს არა აქვთ უფლება მხარეთა (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი) წერილობითი შეთანხმების გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12.3 უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

## 13. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

13.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

13.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.



## **14. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, შ სამღებელია გადაწყდეს მხარეთა გონივრული შეთანხმებით ან/და მოგვარდეს პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით სამართლიანობის ფარგლებში.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს

14.3 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული და სხვა სადაო საკითხები გადაწყდება საქართველოს მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## **15. სხვა პირობები**

15.1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, ერთი ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას მიენიჭება უპირატესობა.

## **16 მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები**

#### **4. დამატებითი ინფორმაცია:**

4.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, მიცკევიჩის 29, მე-3 სართული. საკონტაქტო პირი: მერაბი კუკულაძე ტელ: +99532 37 44 92

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

საიდენტიფიკაციო კოდი:

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება \_\_\_\_\_

საქონლის დასახელება, (მწარმოებელი კომპანია, მწარმოებელი ქვეყანა)	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5	6

ხელმოწერა უფლებამოსილი პირის მიერ .....